ახალი ხარაგაული

№340 (31), 15 დეკემბერი, 2016 წ.

ხარაგაულის გზებზე დიდთოვლობით გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრა ეტაპობრივად ხორციელდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში თოვლი მოვიდა. ზოგიერთ სოფელში თოვლის საფარმა 50 სმ-ს მიაღწია. ხარაგაულის გზებზე დიდთოვლობით გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრა ეტაპობრივად ხორციელდება. მთელი კვირის განმავლობაში მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. გამგეობაში შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, ხელმძღვანელობს. შესაბამისი სამსახურები და უწყებები საგანგებო რეჟიმში მუშაობენ. თოფურიძის ინფორმაციით, იგი მუდმივ კონტაქტზეა ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან და ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში მზად არიან სპეციალური ტექნიკის მობილიზაციისთვის. ამ დროისთვის მუნიციპალიტეტში გზებზე შეფერხებები არაა და ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ტრანსპორტი უსაფრთხოდ გადაადგილდება.

გზის გაწმენდითი სამუშაოები პირადად დაათვალიერეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, გამგებლის მოადგილეებმა: არჩილ მაღრაძემ და თემურ ჩხეიძემ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მადლობას უხდიან ყველა იმ ადამიანს, ვინც გზების გაწმენდით სამუშაოებში უშუალოდ მონაწილეობს.

„მუნიციპალიტეტი მაქსიმუმს აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენს მოსახლეობას გადაადგილების პრობლემა არ ჰქონდეს. მას შემდეგ, რაც ჩამოთოვა, ტექნიკა არ გაჩერებულა და გზები ეტაპობრივად ყველგან იწმინდება. დაიყარა ასევე მარილიც. ადგილობრივი თვითმმართველობა მობილიზებულია ზამთრისთვის და, თუ საჭირო გახდა, სპეციალური ტექნიკაც იქნება შემოყვანილი," — განმარტა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

გამგებლის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, რომელიც ინფრასტრუქტურის სფეროს კურირებს, ამბობს, რომ გზების გასაწმენდად საწვავი ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს გამოეყო და ამჟამად გზებზე გადაადგილების პრობლემა სოფლებში არ არსებობს.

სინოპტიკოსების ცნობით, უამინდობა მთელი საქართველოს მასშტაბით კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდება.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ლეღვნის საბავშვო ბაღს სტუმრობდნენ

9 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, და გამგებლის მოადგილე ,არჩილ მაღრაძე, ლეღვნის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღს სტუმრობდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბაღის შენობა დაათვალიერეს, პატარები მოინახულეს და აღმზრდელ-მასწავლებლებს შეხვდნენ. დღეის მდგომარეობით ლეღვნის საბავშვო ბაღში 21 აღსაზრდელი ირიცხება. შეგახსენებთ, რომ ამ სოფელში საბავშვო ბაღი არასდროს ყოფილა და პირველად 2014 წელს დაიწყო ფუნქციონირება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 8 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა, მათ შორის ისეთ სოფელში, სადაც ამ დრომდე ბაღი საერთოდ არ არსებობდა.

საკრებულოს სხდომაზე გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში განიხილეს

5 დეკემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებს გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში ამავე სამსახურის უფროსმა, პაატა გოგოლაძემ, წარუდგინა.

აუდიტის დასკვნაში აღნიშნული შენიშვნების განხილვას დეპუტატებისა და ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებს შორის დებატები მოჰყვა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილის თქმით, უმეტეს შემთხვევებში, ა(ა)იპ-ებში შესყიდვებისა და საქმისწარმოების კანონმდებლობა დარღვეულია. მისივე თქმით, ხშირია ფინანსური გადაცდომები მაშინ, როდესაც თანამშრომლების ნაკლებობას ა(ა)იპ-ები არ განიცდიან. მან კითხვით მიმართა საფეხბურთო კლუბ „ჩხერიმელას" დირექტორს, ზურაბ გიორგიძეს, რატომ არის გათავისუფლებულ ფეხბურთელებზე პრემიები გაცემული? ამასთანავე, ვარლამ ჭიპაშვილი დაინტერესდა, რა დასკვნა დადო ჯგუფმა, რომელსაც საფეხბურთო კლუბებს „ჩხერიმელა-2009" -სა და „მერცხალს" შორის ჩატარებული შეხვედრები უნდა შეესწავლა.

ზურაბ გიორგიძის განმარტებით, ფეხბურთელებისთვის პრემიების ჩასარიცხად თავის დროზე თანხა არ იყო და ეს პროცესი მოგვიანებით ამიტომ განხორციელდა. ცოტა ხნის წინ, „ჩხერიმელას" გარშემო მომხდარ ფაქტს ზურაბ გიორგიძე სამარცხვინოდ მიიჩნევს და ადასტურებს, რომ კლუბიდან 12 თანამშრომელი გაათავისუფლა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, ბორითის თემში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს საჩუქრად ეტლები გადასცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, გამგებლის წარმომადგენელმა ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვალერი ბარბაქაძემ, და ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის" დირექტორმა, ეკა შავიძემ, ბორითის თემში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს საჩუქრად ეტლები გადასცეს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ბენეფიციარებს სახლებში პირადად ესტუმრნენ და მათ მდგომარეობას ადგილზე გაეცნენ.

ვიზიტის დროს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებმა აღნიშნეს, რომ განაცხადი ეტლთან დაკავშირებით სულ რამდენიმე ხნის წინ ჰქონდათ გაკეთებული და სწრაფი რეაგირებისთვის ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მადლიერება გამოხატეს. ბენეფიციარებმა სოციალურ პრობლემებზეც გაამახვილეს ყურადღება. ქალბატონი მანანა ბარბაქაძე მათ შეძლებისდაგვარად დახმარებას დაჰპირდა.

ეკა შავიძის ინფორმაციით, თანამშრომლობის ფარგლებში, ეტლები მათ საერთაშორისო ასოციაციამ "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" მიაწოდა.

აღნიშნული ორგანიზაცია უკვე წლებია, მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობს და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ცდილობს იმ გსმ პირების პრობლემების მოგვარებას, რომლებსაც გადაადგილება უჭირთ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ასოციაცია "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" თავმჯდომარეს, ქალბატონ მაია კვეზერელს, იმ გულისხმიერებისათვის, რასაც ის ხარაგაულის მიმართ იჩენს.

„ადგილობრივი ხელისუფლება ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრაციას. ეს ადამიანები სრულფასოვნად უნდა ცხოვრობდნენ და ყველამ უნდა შევიტანოთ საკუთარი წვლილი მათი ცხოვრების გაუმჯობესებაში." - აღნიშნა ქალბატონმა მანანამ.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 32 განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს გადაეცა ეტლი საჩუქრად.

ხარაგაულში სამეუფეო წირვა ჩატარდა

13 დეკემბერს, ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველოში სამეუფეო წირვა ჩატარდა, რომელიც მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა, მეუფე მელქისედეკმა (ხაჩიძე), მამა ანტონმა (სულთანიშვილი) და ამავე ეპარქიის სასულიერო პირებმა აღავლინეს.

წირვის შემდეგ მეუფე მელქისედეკმა ანდრია პირველწოდებულის შესახებ იქადაგა და მრევლი დალოცა.

„წმინდა ანდრია იყო პირველი, ვისაც მაცხოვარმა მოუწოდა. მისი მოღვაწეობა დაკავშირებულია საქართველოსთან. მან აჭარის შემდეგ ჩვენს ეპარქიაში იმოგზაურა და ჯვარი ფერსათის მთაზე აღმართა. მადლობა ღმერთს ამ დიდი წყალობისათვის. წმინდა მოციქულების ლოცვა გეწეოდეთ თქვენ და სრულიად საქართველოს. ღმერთმა გააძლიეროს ჩვენი უწმინდესი. იხარეთ ორთავ სოფელსა შინა!" - ბრძანა მეუფე მელქისედეკმა.

წირვის დასრულების შემდეგ მღვდელმთავარმა მრევლთან სამახსოვრო ფოტოები გადაიღო.

რა თანხები ესაჭიროებათ ა(ა)იპ-ებს დეკემბრის თვის სახელფასო ანაზღაურებისათვის

ა(ა) იპ-ებს მიმდინარე წლის დეკემბერის თვის შრომის ანაზღაურებისა და სხვა გადაუდებელი ხარჯებისათვის დამატებით 186,7 ლარის სუბსიდია ესაჭიროებათ. ამის შესახებ საბიუჯეტო ცვლილება, საფინანსო—საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, 14 დეკემბერს გამართულ ბიუროს სხდომაზე წარმოადგინა.

როგორც მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებას" - 45,0 ესაჭიროება; ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობას" 28,0 ათასი ლარი; ა(ა)იპ „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას" - 69,0 ათასი ლარი; ა(ა)იპ „სპორტის განვითარებისა და მართვის ცენტრს" -2,0 ათასი ლარი; ა(ა)იპ „კულტურის ცენტრს" - 22,1 ათასი ლარი; ა(ა)იპ „ცენტრალურ ბიბლიოთეკას" -17,3 ათასი ლარი; ა(ა)იპ „სათნოების სახლს" - 3,3 ათასი ლარი.

ვლადიმერ გელაშვილმა სხდომაზე განმარტა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის წლიური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა-შესრულების მიხედვით, აღნიშნული ვალდებულებების დაფარვის წყაროდ, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს შემოსულობების გეგმების გაზრდა 83,0 ათასი ლარით.

გარდა ამისა ა(ა)იპ-ების მიერ მოთხოვნილი თანხების ასანაზღაურებლად პროგრამულ ბიუჯეტში შემცირდა:

მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯები - 13,2 ათასი ლარით; სარეზერვო ფონდი - 5,0 ათასი ლა-

გაგრძელება მე-2 გვერდზე

გვერდი მოამზადა
ეკა შავიძემ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯებიდან 1000 ლარი ბაღების აღსაზრდელებისთვის საახალწლო საჩუქრების შეძენას მოხმარდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, მანანა ბარბაქაძის, ინიციატივით, საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის წარმომადგენლობითი ხარჯის მუხლში დარჩენილი 1 000 ლარი ბაღების აღსაზრდელებისთვის საახალწლო საჩუქრების შეძენას მოხმარდება. ამის შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, დეპუტატებთან ერთად 5 დეკემბერს იმსჯელა და აღმასრულებელ ხელისუფლებას უკვე წერილობითაც მიმართა. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯები 4000 ლარით განისაზღვრა.

საკრებულოს სხდომაზე გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის ანგარიში განიხილეს

დასაწყისი პირველ გვერდზე

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ქეთევან ზუმბაძემ ყურადღება ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავებაში“ თანამშრომელთა მატებაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ თუ სამსახურში დამატებითი კადრები იყო საჭირო, მაშინ რატომ მოხდა იქ თანამშრომლების გათავისუფლება. საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა პაატა გოგოლაძემ და განაცხადა: „როცა მუნიციპალიტეტში მოასფალტებული გზების მანძილი თანდათან გაიზარდა, გზების მოვლა-შენახვისთვის საჭირო გახდა შტატების დამატება. დასუფთავების სამსახურში ადამიანები ხელშეკრულებით იყვნენ აყვანილი. ამჯერად მუნიციპალიტეტში ფინანსური მდგომარეობა გართულდა, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულებით მყოფი თანამშრომლების გათავისუფლება გამოიწვია“ - აღნიშნა აუდიტის სამსახურის უფროსმა.

დეპუტატებს შორის დაპირისპირება მოჰყვა იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში საკრებულოს წევრების: ინგა მაღრაძის, გელა გოლუბიანის, გიორგი ლაცაბიძის, მერაბ ღონღაძისა და თეიმურაზ კუპრაძის შესვლის საკითხს.

დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი საკითხის გადადების ინიციატივით გამოვიდა. მისი აზრით, ვიდრე კომისიებში წევრთა კვოტირების პრინციპს არ დაადგენდნენ, ეს საკითხი იქამდე არ განხილულიყო. ჭიპაშვილის თქმით, პარტიების წარმომადგენლები კომისიებში არათანაბარი პროპორციით არიან წარმოდგენილი და ამ შემთხვევაში პოლიტიკური ინტერესები თანაბრად არაა დაცული. საკითხის გადადების მომხრე იყო ასევე, საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე, რამაც ოპოზიციურ პარტიათა დეპუტატების პროტესტი გამოიწვია.

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, მიხეილ გელაშვილი, საკითხის გადადებას არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ დეპუტატებს კომისიაში შესვლის სრული უფლება აქვთ.

საბოლოოდ, საკრებულოს წევრებმა იურიდიულ კომისიაში: ინგა მაღრაძის, გელა გოლუბიანის, გიორგი ლაცაბიძის, მერაბ ღონღაძისა და თეიმურაზ კუპრაძის შესვლას კენჭი უყარეს და დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს. საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ და საფინანსო—საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილმა, კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავეს.

მარიანა ბურჯალიანი

რა თანხები ესაჭიროებათ ა(ა)იპ-ებს დეკემბრის თვის სახელფასო ანაზღაურებისათვის

დასაწყისი პირველ გვერდზე

რით; გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 15,0 ათასი ლარით; ხიდებისა და ხიდ-ბოგირების შეკეთების ხარჯები -2,0 ათასი ლარით. განათლების ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა - 2,0 ათასი ლარით; რელიგიის დაფინანსება - 20,0 ათასი ლარით; სოციალური პროგრამები - 46,5 ათასი ლარით, მ.შ. ახალდაბადებულ ბავშვიანი ოჯახების დახმარების ხარჯები - 7,0 ათასი ლარით, ერთჯერადი დახმარების ხარჯები 36,0 ათასი ლარით; სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა 3,5 ათასი ლარით.

წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას დეპუტატები კენჭს 16 დეკემბერს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე უყრიან.

15 დეკემბრიდან პირადობის მოწმობები უფასოდ გაიცემა

15 დეკემბრიდან 9 იანვრის ჩათვლით პირადობის მოწმობები უფასოდ გაიცემა, საქართველოს მოქალაქის პასპორტის აღება კი 100 ლარის ნაცვლად 50 ლარი ეღირება.

ახალი პირადობის მოწმობის უფასოდ მიღება შეეძლებათ პირებს 18 წლის ასაკიდან და მათ, ვისაც 2017 წლის 2 ნოემბრამდე უსრულდება 18 წელი.

აქცია ეხება ბიომეტრიულ პასპორტსაც და მისი შეცვლა ან პირველად აღება 50%-იანი ფასდაკლებით იქნება შესაძლებელი.

2014 წლიდან საქართველოში ფოტოსურათიანი საარჩევნო სია მოქმედებს და ის ბიომეტრიულ დოკუმენტებს ეფუძნება. შესაბამისად, ბიომეტრიული დოკუმენტის ქონა უზრუნველყოფს პრინციპს — „ერთი ამომრჩეველი - ერთი ხმა“ და გამორიცხავს არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე ე.წ. კარუსელს. „ჩვენს ბაზებში მოქალაქეთა მონაცემების სიზუსტე კვლავაც აქტუალურია, რადგან 11 თვეში საქართველოში კვლავ არჩევნებია და საარჩევნო სია მუდმივად უნდა იხვეწებოდეს. ჩვენ გვსურს კიდევ უფრო ზუსტი და სანდო საარჩევნო სია მომავალი თვითმმართველობის არჩევნებისთვის“, — განაცხადა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა. სწორედ ამ მიზნით იუსტიციის სამინისტრომ ბოლო 4 წლის განმავლობაში 23 აქცია გამოაცხადა. შედეგად, 1 155 245-ზე მეტმა მოქალაქემ პირადობის მოწმობა უფასოდ ან შეღავათიანი ფასით მიიღო. 2016 წლის საპარლამენტო არჩევ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში დეპუტატებმა დადებითად შეაფასეს

5 დეკემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომაზე დეპუტატებმა საკრებულოს კომისიებისა და გამგეობის სამსახურების ანგარიშები მოისმინეს და დადებითად შეაფასეს.

ამავე სხდომაზე მოისმინეს საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში, რომელიც კომისიის თავმჯდომარემ, მარინე ვეფხვაძემ, წარმოადგინა და გაწეული საქმიანობის შესახებ ვრცლად ისაუბრა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ქეთევან ზუმბაძე, დაინტერესდა - როგორ გადაანაწილებს „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრი“ სხვადასხვა ღონისძიებისთვის გამოყოფილ 25 000 ლარს. იგი ასევე შეეხო საბავშვო ბაღებში მიმდინარე პროცესებს და მოითხოვა განმარტება, რამდენი პროცენტით შეუმცირდებათ ხელფასი თანამშრომლებს და რატომ?“

მარინე ვეფხვაძის განმარტებით, „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრისთვის“ ბიუჯეტის გაზრდა რამდენჯერმე იქნა მოთხოვნილი, მაგრამ სხვანაირად არ მოხერხდა. „რაც შეეხება ხელფასების გადანაწილებას, ეს ჩემი პეროგატივა არაა. ჩემი აზრით, თუ ხელფასების შემცირება არ მოხდა, ეს დაფინანსება მათთვის საკმარისი არ იქნება. სახელფასო ანაზღაურება ყველა სამსახურში გაზრდილია და ადგილობრივი ბიუჯეტი ხარჯებს ვეღარ ფარავს,“ - აღნიშნა მარინე ვეფხვაძემ.

საკრებულოს საფინანსო—საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა დადებითად შეაფასა განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში და აღნიშნა: „ჩვენს ყოფილ გამგებელს, ბატონ კობა ლურსმანაშვილს, ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ მისი უშუალო ინიციატივით მომზადდა ზვარის ბანაკის საპროექტო წინადადება და პროექტი რეგიონული განვითარების ფონდში დასაფინანსებლად იყო ჩასმული. მაინტერესებს, ახლად დამტკიცებულ პროექტთა ნუსხიდან რატომ იქნა ამოღებული ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მოწყობა და რა დამოკიდებულება აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებას ამასთან დაკავშირებით?“

ვარლამ ჭიპაშვილი ასევე დაინტერესდა, სად დაიხარჯა 2016 წელს ხარაგაულელი წარმატებული სპორტსმენების წახალისებისთვის გამოყოფილი 6 000 ლარი. მისი ინფორმაციით, ა(ა)იპ-ს ამ მიმართულებით მხოლოდ 3 000 ლარი აქვს გახარჯული.

მარინე ვეფხვაძე: „ზვარის ბანაკის მშენებლობის პროექტს არაერთხელ დავუჭირეთ მხარი, მაგრამ წელს მუნიციპალიტეტის გამგეობამ პრიორიტეტი სოფლებში გზების მოწესრიგებას მიანიჭა. ჩვენ ერთხმად დავუჭირეთ მხარი ამ ინიციატივას. თუმცა, როგორც ვიცი, ადგილობრივი ხელისუფლება კვლავ იმუშავებს ზვარის ბანაკზე და სხვა პროგრამებიდან მოიძიებს თანხებს. რაც შეეხება სპორტსკოლას, 6 000 ლარიდან მათ 3 000 ლარი ნამდვილად წარმატებული სპორტსმენების წახალისებისთვის გამოიყენეს, ხოლო დანარჩენი თანხა, როგორც ვიცი, სხვა მიმართულებებზე დახარჯეს.“

სხდომაზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, თორნიკე ავალიშვილმა, სამსახურებში ნათესავების დასაქმებაზე ისაუბრა, რამაც ხელფასების ზრდა გამოიწვია და ეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზეც აისახა.

მარიანა ბურჯალიანი

„NPARD“-ის პროგრამის ფარგლებში ხარაგაულში კოოპერატივი ჩამოყალიბდა

„ENPARD“-ის პროგრამის ფარგლებში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კიდევ ერთი კოოპერატივი „მეღვინეობა კიცხი“ ჩამოყალიბდა. კოოპერატივი სოფელ კიცხში დაფუძნდა და მასში ექვსი მეპაიეა გაერთიანებული. „მეღვინეობა კიცხს“ 35 000 ევრომდე მოცულობის გრანტი აქვს მიღებული და მისი მთავარი მიზანი საერთო მეურნეობის წარმოების საფუძველზე წევრთა შემოსავლის ზრდაა. კოოპერატივი უკვე რამდენიმე თვეა, ფუნქციონირებს და პროდუქციის რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე ახორციელებს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მათი საქმიანობა სახელმწიფოს მიერ არ იბეგრება. საწარმოში ბიოლოგიურად სუფთა ღვინოსა და ჭაჭის არაყს აწარმოებენ.

ახლად შექმნილი კოოპერატივი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, თეიმურაზ ჩხეიძემ, მოინახულა და მის საქმიანობას ადგილზე გაეცნო.

„მეღვინეობა კიცხის“ ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მის ერთ-ერთ წევრს, ჰამლეტ ბერაძეს, მიუძღვის. როგორც ის ჩვენთან საუბარში განმარტავს, კიცხის ღვინო ყოველთვის განთქმული იყო საქართველოში და სწორედ ამის გამო გადაწყვიტა კოოპერატივის შექმნა. „როდესაც პროექტის შესახებ შევიტყვეთ, დავიწყეთ ფიქრი, თუ რომელ დარგში გაგვეკეთებინა კოოპერატივი. მე და ჩემი მეგობრები თავიდანვე მეღვინეობაზე ვფიქრობდით, რადგან წლების განმავლობაში კიცხში წარმატებულად ფუნქციონირებდა ღვინის ქარხანა.“ - დასძინა ბატონმა ჰამლეტმა.

6 კაციანი კოოპერატივი ევროკავშირმა 96, 069 ლარის ღირებულების ტექნიკური აღჭურვილობით დააფინანსა. მის ტექნიკურ მხარდაჭერას კი ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ ახორციელებს.

ჰამლეტ ბერაძე ამბობს, რომ პროექტის განხორციელებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა ჰქონდათ ადგილობრივ თვითმმართველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრისგან.

„შენობა ჩვენი ფინანსებით ავაშენეთ და კეთილმოვაწყვეთ. გრანტის თანხებით კი ტრაქტორი, საჭყლეტი კლერტსაცლელი, საწური, პრესი და სხვა საჭირო ინვენტარი გადმოგვეცა. ეს იყო ჩვენი დიდი ხნის ჩანაფიქრი, რომლის განხორციელებაშიც ევროკავშირი დაგვეხმარა. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ხელი შეგვიწყო ამ მნიშვნელოვან საქმეში. განსაკუთრებული მადლობა ადგილობრივ თვითმმართველობას.“

ბატონი ჰამლეტი თვლის, რომ ღვინის წარმოება ძალიან საინტერესო და სასიამოვნო პროცესია. ამ მიმართულებით მან და მისმა მეგობრებმა არაერთი ტრენინგი გაიარეს. ევროკავშირის დაფინანსებით იყვნენ სხვადასხვა ქალაქში, სადაც გაიარეს კონსულტაციები, როგორ უნდა დაეწერათ პროექტი, გაეწერათ ბიუჯეტი და ა.შ.

„ამ ეტაპზე კოოპერატივში ექვსი ადამიანი ვართ, კიდევ ოთხი წევრის დამატებას ვაპირებთ. გავიარეთ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტრენინგები სხვადასხვა ქალაქში. ჩვენი ღვინის დიდი ნაწილი ევროპული წესითაა დამზადებული. ასევე ვამზადებთ კახური და იმერული მეთოდებითაც. „მეღვინეობა კიცხი“ უკვე დავარეგისტრირეთ ღვინის სააგენტოში და მალე ჩავერთვებით „ღვინის გზის“ პროექტში. სულ მალე ჩვენი ღვინო შემოწმებას გაივლის და აუცილებლად მივიღებთ სერტიფიკატს, რომელიც მოგვცემს საშუალებას, ღვინო საზღვარგარეთ გავიტანოთ.“ - გვეუბნება ჰამლეტ ბერაძე.

ბატონი ჰამლეტი კოოპერატივის დადებით მხარეებზეც საუბრობს და ყველას მოუწოდებს პროექტში ჩართვას.

„სახელმწიფოს მიერ კოოპერატივებისთვის დაწესებულია საშეღავათო პირობები: კოოპერატივის ქონება, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის, ქონების გადასახადით არ იბეგრება. ასევე არ იბეგრება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი და გრანტი - მოგების გადასახადით; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც, მაგალითად, შპს-ს შემთხვევაში 200 000 ლარს შეადგენს. გარდა ამისა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სარგებლობენ იმ საგადასახადო შეღავათებითაც, რომლებიც სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში მოქმედებს. ამიტომ სოფელში მცხოვრებმა ადამიანმა, რომელსაც აქვს იდეა, თანამოაზრეებთან ერთად უნდა ჩამოაყალიბოს კოოპერატივი და მიიღოს დამატებითი შემოსავალი“.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, თეიმურაზ ჩხეიძე, მოხარულია იმ ფაქტით, რომ მუნიციპალიტეტში უკვე რამდენიმე კოოპერატივი შეიქმნა და ადგილობრივებს დამატებითი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა მიეცათ.

„სახელმწიფო მხარს უჭერს მსგავსი იდეების განხორციელებას. სოფელ კიცხში ასევე ფუნქციონირებს „ENPARD“-ის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული კოოპერატივი „სარგო“. ასეთი პროექტების განხორციელება კი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა გაუმჯობესდეს და დასაქმების პრობლემაც ნაწილობრივ მოგვარდეს“.- აღნიშნა ჩვენთან საუბარში თეიმურაზ ჩხეიძემ.

შეგახსენებთ, რომ „ENPARD“-ი ევროპის სამეზობლო 5 წლიანი პროგრამაა, რომელსაც საქართველოში ჩეხური ორგანიზაცია PIN-ი ახორციელებს.

მარიანა ბურჯალიანი

„განთიადი თავდადებულის საფლავზე“

დიდ წინაპართა „გამცოცხლებელმა“ ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის უნიჭიერესმა მესაჭემ, ქალბატონმა იზა ვეფხვაძემ, ჩვენი ერის წარსული ყოფის კიდევ ერთ უწმინდეს სულს გამოუხმო და დაუცხრომელი, მისთვის ჩვეული რუდუნებითი შრომის შედეგად, მაყურებელს წარუდგინა ამაღლებული ცხოვრება „მტრის ურჩი რაინდისა“, რომლის „საშვილიშვილო სამარეს გულში იხუტებს“ ჩვენი საფიცარი მთაწმინდა...

დიმიტრი ყიფიანი - „მტრის ურჩი რაინდი“,

დიმიტრი ყიფიანია -ტარიგი საქართველოსი...

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ტ მე-6, გვ 1256) სიტყვა „ტარიგი“ რამდენიმე მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. ერთ-ერთი განმარტება ასეთია: რაც მსხვერპლად უნდა შესწირონ, შესაწირავი. დიახ, დიმიტრი ყიფიანი მამულის ტარიგია, მისი სიცოცხლე ყველაზე დიადს, ყველაზე საოცნებოს-საქართველოს შეწირა...

რვა დეკემბერს ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზში გაიმართა წინასაპრემიერო ჩვენება დიმიტრი ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექტაკლისა, რომელსაც სცენარის ავტორმა, იზა ვეფხვაძემ, მრავალგანზომილებიანი სახელწოდება მიუსადაგა - „განთიადი თავდადებულის საფლავზე“.

შეკრებილ საზოგადოებას ლოცავს და ქალბატონ იზას მიმართავს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამლოცველო სახლის წინამძღვარი, იღუმენი მამა ანტონი (სულთანიშვილი): „ღმერთმა დაგლოცოთ და გაკურთხოთ. მთელი სულითა და გულით მოველით სპექტაკლის დაწყებას. თქვენ ისეთი ქალბატონი ბრძანდებით, რომ ამჯერადაც ჩვენს სულებში დაანთებთ იმ ცეცხლს, რასაც პატრიოტული სულისკვეთება და წმინდანების მიმართ თაყვანისცემა ჰქვია. სწორედ ასეთი მამულიშვილებისა და პატრიოტთა მხრებზე დგას დღეს ჩვენი ქვეყანა. გლოცავთ ჩვენი დედა ეკლესია და ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი მამულიშვილები.

დიდ მადლობას გიხდით, ქალბატონო იზა, თქვენი თავდაუზოგავი შრომისათვის. თქვენი ჭეშმარიტი სიტყვით თქვენ მთელ საქართველოს გადასცემთ იმ დიდ ღვაწლს, იმ დიდ სიყვარულს, რაც საამაყო შვილებს დაუთესავთ. სრულიად საქართველოსა და ყოველ ქართველს შეეწიოს წმინდა დიმიტრი ყიფიანის ძალა და მადლი“.

* * *

მსახიობის მაგიური სიტყვით, ზეპირი მჭევრმეტყველების უშრეტი უნარით შთამბეჭდავად ცოცხლდება დიდი ქართველის ცხოვრების ეპიზოდები. ის სახელოვანი გზა, რომელიც განვლო დიდმა მამულიშვილმა მშობელი ერისა და ქვეყნის სამსახურში, ვიდრე 72 წლის ასაკში მისი ფიზიკური არსებობა გადასახლებაში, სტავროპოლში, არ შეწყდა ჯალათთა ხელით...

„... ის ტვინი, რომელიც საქართველოზე ფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს“ - ჩაგვესმის აკაკი წერეთლის გოდება. გადასახლების წინ სწორედ აკაკიმ ინახულა დიმიტრი ყიფიანი. მოხუცმა პოეტს მწუხარება შეატყო სახეზე და სიცილით უთხრა: ,,ნუ გშურს ეს ღვთის წყალობა, უკეთეს ჯილდოს მე ვერც მოვიფიქრებდი“.

და რისთვის არგუნეს ეს „ჯილდო“?

მსახიობს გადავყავართ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, როცა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, ეს ქართველი ერისა და ქართული ენის მოძულე რუსი ჩინოვნიკი, ატარებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებითაც სკოლებიდან მშობლიური ქართული ენა უნდა განდევნილიყო...

მსახიობის მეტყველებაში ამზიანდა ცნობილი მოღვაწის ნიკო ცხვედაძის ის წერილი, რომელსაც უგზავნის პეტერბურგში მყოფ დიმიტრი ყიფიანს: „როგორც თქვენ გესმით ჩვენი ხალხის მდგომარეობა, ამ ხალხის აწინდელი და მომავალი ბედი, ისე-არავის. ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ, ამისთვის ისევ თქვენ უნდა იხმაროთ ყოველგვარი ღონისძიება და მანდ სიტყვიერი მოქმედებით ჩვენი სამშობლოს საქმე გაასწოროთ“.

და შეუპოვრად ამხედრდა „მტრის ურჩი რაინდი“ მშობლიური ქართული ენისა და ქართული სკოლის დასაცავად...

საოცარი განცდა ეუფლება მაყურებელს, როცა მსახიობი დიმიტრი ყიფიანის იანოვსკისადმი მიმართულ წერილს გვაცნობს: ,,მერე რა ენისას ამბობენ კაცობრიობის მგმობელნი — უნდა გაჰქრესო? იმ ენისას, რომელზედაც ლაპარაკობდნენ: ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი... რომელზედაც მწერლობდნენ პოეტნი, როგორც შოთა რუსთაველი, ფილოსოფოსნი, როგორც პეტრიწი, სჯულმდებელი, როგორც ვახტანგი...

ჩინგისხანმა, ლანგთემურმა, შაჰბასმა, ნადირშამ ვერ შემუსრა ჩვენი ხალხოსნობა და ახლა გინდათ, შემუსროთ?... ბატონ იანოვსკის ათასწლიად უჯობს ისევ აზრის შემუსვრა მოახერხოს, თუ არა... ბატონი იანოვსკი შემცდარი კი არა -შემცოდავი იქნება.“

სასულიერო სემინარიის რექტორის, ჩუდეცკის მკვლელობის გამო, რუსეთის მიერ დანიშნულმა საქართველოს საეკლესიო წინამძღოლმა, ეგზარხოსმა პავლემ საჯაროდ დაწყევლა ქართველი ერი. ამ ფაქტით აღშფოთებულმა ყიფიანმა ეგზარხოსს (ლებედევი) უშიშრად მოსთხოვა საქართველოს დატოვება..

და არ აპატიეს დიმიტრი ყიფიანს სამშობლო ქვეყნის სიყვარული, ერის მომავლის დაცვა...

ეკრანზე ჩნდება დიდი მგოსანი, აკაკი წერეთელი, რომელიც კითხულობს „განთიადს“.ვის ძალუძს ცრემლის გარეშე მოისმინოს მისი მავედრებელი სტრიქონები:

„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ-
შენს მინას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო.''

და მგოსნის ღაღადისს ენაცვლება მსახიობის ჭეშმარიტი ოსტატობით წარმოთქმული, ამ ლექსის ღვთიურ მადლს მისადაგებეული საყვარელი მწერლის, ნოდარ დუმბაძის, სიტყვები: „განთიადი“ კაცის დაწერილი არ არის, ასეთ ლექსებს ადამიანები არ წერენ. ეს მათ ძალ-ღონეს აღემატება... დიახ, ეს ლექსი ღვთის ბაგიდან არის გადმოსული და ნაკარნახევი....“

და შეიძლება ითქვას (ვფიქრობ, გადაჭარბებულად არვის მოეჩვენება), ნამდვილად ღვთიური მადლი ტრიალებდა 8 დეკემბერს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პატარა, ლამაზ დარბაზში... აქ იყო სრული ჰარმონია მსახიობსა და მაყურებელს შორის და მსახიობიც სწორედ „ ღვთის კარნახით“ ამზეურებდა „საქართველოს მეორე დიმიტრი თავდადებულის“ (აკაკი) დიდ ცხოვრებას, ჯადოსნური სიტყვის მალამოთი თითქოს იკურნებოდა ის დიდი ტკივილი, რაც

ქართველობამ მიიღო „თავდადებულის“ უღვთო სიკვდილით და მსუბუქდებოდა ის მძიმე ჯვარი, რომელიც მუხლჩაუხრელად ატარა დიდმა ქართველმა, დიდმა დიმიტრი ყიფიანმა...

* * *

სპექტაკლის დასასრულს ეკრანზე ჩნდება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მამულიშვილის ნათელი სახე. მაყურებელთა დარბაზიდან ეკრანს უახლოვდება ორი ჩოხოსანი ჭაბუკი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის წევრები: ნიკოლოზ მეიფარიანი და გურამ ლურსმანაშვილი. ისინი ანთებენ სანთელს და საპატიო ყარაულში უდგებიან დიდ წინაპარს....

ის დიდი მისია, ის დიდი პატრიოტული ვალი, რომელსაც ასეთი რუდუნებით ემსახურება ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი და მისი მესაჭე, ქალბატონი იზა ვეფხვაძე, ძალზე შთამბეჭდავად გამოხატა სპექტაკლის მაყურებელმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა ნიკოლოზ თოფურიძემ: „მე კარგად ვიცი, რას ნიშნავს სცენაზე დგომა, ეს პროფესიულად მაქვს შესწავლილი. ძალიან ძნელია სცენაზე დგომა და განსაზღვრა იმისა, თუ ვისთვის და რა მიზნით ამბობ სიტყვას. ძალიან დიდი მადლობა თქვენ, ქალბატონო იზა, ასეთი პატრიოტული მოღვაწეობისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ ამ დიდ ქართველზე, დიმიტრი ყიფიანზე, სწორედ ხარაგაულიდან იწყება ესოდენ დიდი პატივის მიგება...“

ჩვენო იზა!

ამ დღეს კიდევ ერთი ლამაზი ფურცლით შეივსო თქვენი შემოქმედებითი ბიოგრაფია. თქვენ გაიმარჯვეთ! განა გამარჯვება არაა, როცა დარბაზში მყოფი მოსწავლეები სპექტაკლის დამთავრების შემდეგ შემოეხვივნენ თავიანთი სიტყვიერების პედაგოგს, ქალბატონ ნინო ბარბაქაძეს, კოცნიდნენ და აცრემლებულები მიმართავდნენ: გმადლობთ, ჩვენო ნინო მასწავლებელო, რომ მოგვეცით შესაძლებლობა ამ დიდი ქართველის, დიმიტრი ყიფიანის, სულთან მიახლებისა...

P.S. სპექტაკლი „განთიადი თავდადებულის საფლავზე“ 12 დეკემბერს გაიმართა ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში, ხოლო 22 დეკემბერს, 13:00 საათზე ჩატარდება თბილისში, წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის უნივერსიტეტში, რომელსაც დაესწრება დიმიტრი ყიფიანის დიდი შთამომავლობა.

მერი გიორგიძე

15 დეკემბრიდან პირადობის მოწმობები უფასოდ გაიცემა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ნებისთვის საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ყველაზე ზუსტი საარჩევნო სია ჰქონდა.

ამასთან, ვიზალიბერალიზაციისა და ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის პროცესების დადებითად დასრულებისათვის, იუსტიციის სამინისტრო ბოლო წლებია, ინტენსიურად მუშაობს. „ვინაიდან საქართველო უკვე ელოდება ევროკავშირისგან უვიზო მიმოსვლაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, აუცილებელია, საქართველოს ყველა მოქალაქემ კიდევ ერთხელ წინასწარ გაიაზროს ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობა და ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი, ტურიზმისა და განვითარების მიზნების გარდა, საკუთარი თავისა და ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენისათვის გამოიყენოს. ლეგალური ჩასვლა ევროკავშირის ქვეყნებში და დათქმულ დროში უკან დაბრუნება უნდა გახდეს ჩვენი წესი, რისთვისაც ბიომეტრიული პასპორტი აუცილებელია“, — დასძინა იუსტიციის მინისტრმა. 4 წლის განმავლობაში პასპორტის საშეღავათო პირობებით გაცემის მიზნით აქცია უკვე მეორედ ცხადდება.

აქციით სარგებლობისთვის მოქალაქეებმა უნდა მიმართონ იუსტიციის სახლებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს.

აქციის ფარგლებში დოკუმენტის გაცემისას, მოქალაქეები გათავისუფლდებიან ფოტოსურათის საფასურისგან.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს 2 368 346-ზე მეტი მოქალაქე პირადობის ელექტრონულ მოწმობას ფლობს, ხოლო დამატებით 341 373 მოქალაქე საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიულ პასპორტს, რაც სამოქალაქო რეესტრის ბაზებში 2,7 მილიონზე მეტი ზუსტი და უტყუარი მონაცემის არსებობას ნიშნავს.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიძღვნილ საინფორმაციო კამპანიას ხარაგაულიც შეუერთდა

მსოფლიოში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიძღვნილ თექვსმეტდღიან საინფორმაციო კამპანიას ხარაგაულიც შეუერთდა. კამპანიის ფარგლებში გამგებლის მრჩეველმა გენდერული თანასწორობის საკითხებში, ინგა ბერაძემ, მუნიციპალიტეტის ქუჩებში გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხვის მიზანი გახლდათ ქალთა მიმართ ძალადობასა და გენდერულ თანასწორობაზე საზოგადოების აზრის დაფიქსირება.

„შევარჩიეთ სხვადასხვა ასაკისა და სოციალური წრის რესპონდენტები. მათი შეხედულებები ხშირ შემთხვევაში ნამდვილად არ ემთხვევა ძალადობის თემისა და გენდერული თანასწორობის ზუსტ განსაზღვრებასა და დეფინიციას, თუმცა მათი აზრი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რას ფიქრობს საზოგადოება ამ თემებზე, რათა მეტი საგანმანათლებლო ხასიათის შეხვედრა ჩავატაროთ და შემდგომში შევცვალოთ მათი დამოკიდებულება და აღქმა გენდერული თანასწორობის მიმართ“, - აღნიშნა გამგებლის მრჩეველმა.

გამოკითხვის ერთ-ერთი რესპონდენტი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერული თანასწორობის თემისადმი მიდგომა სერიოზული არაა, რასაც სავალალო შედეგი მოაქვს.

„ოჯახში ძალადობის ფაქტები ხშირია, თუმცა, გამომდინარე ოჯახის პრინციპებისა და იდეის ერთგულებისა, ამ თემების გასაჯაროება არ ხდება. საზოგადოება მასზე არ მსჯელობს და არც პრობლემის გადაჭრის გზებს სახავს.ამიტომ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება ყველაფერს უნდა ვაკეთებდეთ იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ გავიაზროთ, რომ ქალი და მამაკაცი არის თანასწორი და აღჭურვილი არიან თანაბარი უფლება - შესაძლებლობებით“, - აღნიშნავს ჭიპაშვილი.

ქალთა მიმართ ძალადობას გმობს გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, ირინე ჩხეიძე. მისივე თქმით, საქართველოში ოდითგანვე იყო ქალის კულტი და ჯერ კიდევ XII საუკუნეში შოთა რუსთაველმა ბრძანა - „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.“ ქალბატონ ირინეს ასევე დიდი სურვილი აქვს, ერთ-ერთი სპექტაკლი ქალთა თემაზე შექმნას.

ხარაგაულელი ნიკა მანჯავიძე მიიჩნევს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა სირცხვილია და სუსტი სქესის წარმომადგენელზე ხელის აღმართვას გმობს. გენდერული თანასწორობა მისთვის მისაღებია, თუმცა თვლის, რომ ქალმა მაინც უნდა იგრძნოს, რომ კაცი კაცია.

ისტორიკოსი ზეინაბ ბუაჩიძე საზოგადოებაში მანდილოსნის როლზე საუბრისას ისტორიულ ფაქტებს იშველიებს. იგი თამარის ეპოქას შეეხო და იმ პერიოდში ქალთა მნიშვნელოვან როლზე ისაუბრა. „ვფიქრობ, საქართველოში ეს პრობლემა არ უნდა იყოს, რადგან ამ მხრივ ევროპაზე ძველი ტრადიციები გვაქვს. ქალს მეტი შესაძლებობა უნდა ჰქონდეს. ყველა ძლიერი ქალი ძლიერ მამაკაცს შობს. თუნდაც ძველ სპარტაში ქალს უდიდეს პატივს სცემდნენ, რადგან მას უნდა ეშვა ნამდვილი ვაჟკაცი და ძლიერი მეომარი.“

ქალთა ძალადობისა და გენდერული თანასწორობის თემა ახალგაზრდებში საკმაოდ აქტუალური თემაა. წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მოსწავლე, თაკო თხელიძე, ამბობს, რომ ხშირია მანდილოსნების მიერ მამაკაცების დაჩაგვრის ფაქტებიც. „ზოგადად საქართველოში დამკვიდრებულია ტენდენცია, რომ ქალი იჩაგრება მამაკაცის მიერ, თუმცა, ვფიქრობ, რომ მარტო ასეც არაა. ხშირადაა მანდილოსნის მიერ მამაკაცის დაჩაგვრის ფაქტებიც. ამიტომ ცალსახა მიდგომა, რომ საქართველოში მხოლოდ ქალები იჩაგრებიან, სწორად არ მიმაჩნია. ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ასევე ბავშვებზე ძალადობაც, რაც მომავალში მათი ფსიქიკის ჩამოყალიბებისათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს.“

შეგახსენებთ, რომ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიძღვნილი თექვსმეტდღიანი კამპანია 25 ნოემბერს დაიწყო და 10 დეკემბერს დასრულდა.

თამარ მაღრაძე

ქუთაისის ეროვნული უნივერსიტეტიდან სტუდენტებმა ხარაგაულის ტურისტული ადგილები დაათვალიერეს

ქუთაისის ეროვნული უნივერსიტეტიდან ტურიზმის სპეციალობის სტუდენტები ხარაგაულის მუნიციპალიტეტს სტუმრობდნენ. ა(ა)იპ „განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის“ დირექტორის, ბერიკა თურმანიძის, ინფორმაციით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც „ტურიზმის ცენტრს“ უნივერსიტეტი უკავშირდება და თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს.

სტუდენტებმა „ცაშეკრულას კანიონი,“ ბორჯომ—ხარაგაულის ეროვნულ პარკში მარელისის ხერგილი და ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი დაათვალიერეს.

ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ტურიზმის მენეჯმენტის პროფესორი, გაიოზ ძიძიგური, ამბობს, რომ დღევანდელი დღე სტუდენტებს მომავალი კარიერის განვითარებაში დაეხმარება. ბატონი გაიოზი მომავალში „რკინის ჯვრის“ მონახულებასაც გეგმავს.

ქუთაისის ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტი, იზაბელა დუგლაძე, ხარაგაულში სტუმრობით კმაყოფილია და განმარტავს, რომ ის ბორჯომ—ხარაგაულის ეროვნულ პარკზე სადიპლომო ნაშრომის დაწერას აპირებს.

ქრისტინე სანდუხაძე მოხიბლულია ხარაგაულის ბუნებით და აცხადებს, რომ განსაკუთრებით „ცაშეკრულას კანიონი“ მოეწონა.

სტუდენტების თქმით, ისინი ხარაგაულში სტუმრობას მომავალშიც გეგმავენ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ატომანქანაზე ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტომანქანა „მიცუბიშ-პაჯეროზე“ (სახ N CJC-311), აუქციონი გამოცხადდა.

აუქციონი 2016 წლის 8 დეკემბერს, 16 საათზე, დაიწყო და 2016 წლის 18 დეკემბერს, 16 საათზე, დასრულდება.

ინფორმაცია აუქციონის შესახებ განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე:WWW.esuction.ge

წინასწარი შესატანი „ბე“-ს ოდენობა საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%-ია.

ხარაგაულში შიდსის საერთაშორისო დღე აღინიშნა

1 დეკემბერს მთელ მსოფლიოში შიდსის საერთაშორისო დღე აღინიშნება. წელს ეს დღე გზავნილით — „ვემხრობი შიდსის დამარცხებას”- აღინიშნა. შიდსის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის ექიმმა—პროფილაქტიკოსმა, თათია ბლუაშვილმა, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში აივ ინფექციის (შიდსი) თემაზე პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციას სკოლის უფროსკლასელები ესწრებოდნენ. ექიმმა—პროფილაქტიკოსმა მოსწავლეებს გააცნო, თუ რა დაავადებაა აივ ინფექცია (შიდსი), რა გზებით გადაეცემა იგი, როგორ შეიძლება მისი მკურნალობა და პროფილაქტიკა.

პრეზენტაცია „ვემხრობი შიდსის დამარცხებას“ სკოლაში ფილმ „სტიგმას“ ჩვენებით დასრულდა, რომელიც შიდსით დაავადებულთა დისკრიმინაციას ეხება.

სამძიმარი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ საზოგადოებას გამოაკლდა ღირსეული ქართველი, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით დაჯილდოებული პიროვნება

ჯამბულ გოგსაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობელებს.

საკრებულოს სდომაზე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში მოისმინეს

5 დეკემბრის საკრებულოს მორიგ სხდომაზე, დეპუტატებმა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში მოისმინეს. როგორც კომისიის თავმჯდომარე გივი ხიჯაკაძემ აღნიშნა, ამ დროისათვის სოციალურად დაუცველთა დასახმარებლად ბიუჯეტში თანხები თითქმის აღარ არის. დარჩენილი თანხით მხოლოდ ის ვალდებულებები დაიფარება, რომლებზეც საგარანტიოებია გაცემული.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, დაინტერესდა, როდის დაიწყება ხარაგაულის ახალი საავადმყოფოს ფუნქციონირება და რამდენად რეკომენდებულია ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ მომსახურების ტენდერზე გატანა?

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გივი ხიჯაკაძემ, განმარტა, რომ საავადმყოფოში არსებულ თანამედროვე ტექნიკასთან მუშაობა ყველას არ შეუძლია და კადრების გადამზადება მიმდინარეობს. კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით, საავადმყოფოს სრული დატვირთვით ამუშავების ზუსტი დრო, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

რაც შეეხება ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ მომსახურების ტენდერზე გატანას, გივი ხიჯაკაძის აზრით, ამ ეტაპზე ის ამის აუცილებლობას ვერ ხედავს.

სოციალური და ჯანდაცვის კომისიის ანგარიშთან დაკავშირებით შეფასება გააკეთა საკრებულოს წევრმა, აზა ფურცელაძემ: „თანხა, რამდენიც არ უნდა იყოს ბიუჯეტში, მოსახლეობის მოთხოვნებს სრულად ვერ დავაკმაყოფილებთ. ჩემი აზრით, მაქსიმალურად უნდა დავხვეწოთ დახმარების გაცემის წესი. ვთვლი, რომ აუცილებელია გაიზარდოს წამლების შესაძენად გასაცემი თანხა მათთვის, ვინც განსაკუთრებულად საჭიროებს წამლებს. მე, როგორც კომისიის წევრი, დადებითად ვაფასებ კომისის მუშაობას.“

მარიანა ბურჯალიანი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს შემოსავლების სამსახურის მოძრავი სერვისცენტრი მოემსახურება

23 დეკემბერს გამგეობის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე10:00 - საათიდან 17:00-მდე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს შემოსავლების სამსახურის მოძრავი სერვისცენტრი მოემსახურება. შემოსავლების სამსახურის მოძრავი სერვისცენტრი - RS CAR მომსახურებას გაუწევს იმ რეგიონებს, სადაც არ არის შემოსავლების სამსახურის მომსახურების სერვისცენტრები და რაიონული წარმომადგენლობები. მოძრავი სერვისცენტრი (მიკროავტობუსი) აღჭურვილია ყველა თანამედროვე ტექნიკური საშუალებით. შესაბამისად, გადასახადების გადამხდელები შეძლებენ, მათთვის მოსახერხებელ ადგილას, დასახლებული პუნქტიდან გაუსვლელად, დროულად მიიღონ სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისი. მოძრავი სერვისცენტრის დახმარებით, გადასახადის გადამხდელს საშუალება ექნება, მიიღოს შემდეგი ელექტრონული მომსახურება: კონსულტაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების გამოყენებასთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურის ელექტრონული გვერდის სარგებლობის მიზნით, ავტორიზაციის შემდგომ განცხადებების მიღება და რეგირება, მიკრო/მცირე ბიზნესისა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭება/გაუქმება. ასევე, მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭება/შეჩერება/შეწყვეტის განცხადებების მიღება. ამასთან მოხდება შემოსავლების სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ცნობების გაცემა (საგადასახადო დავალიანების, გადამხდელის რეგისტრაციის, დღგ-ის რეგისტრაციის, შემოსავლების შესახებ) და ა.შ.

ხარაგაულელ სპორტსმენთა წარმატებები

10 დეკემბერს ტყიბულში მოსწავლეთა შორის ჩატარდა გელა გიორგაძის სახელობის იმერეთის პირველობა კუნგ - ფუ სანდაში. ტურნირში მონაწილეობა მიიღო ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის გუნდმა (მწვრთნელი ზვიად კურტანიძე) და საპრიზო ადგილებიც მოიპოვეს.

ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს:

1. საბა სულაქველიძემ;
2. რატი დევდარიანმა;
3. გაგა გელაშვილმა;
4. დავით სხილაძემ;
5. გოგა ფურცელაძემ;
6. გიორგი მაღრაძემ;
7. ერეკლე მაღრაძემ;
8. თამუნა გელაშვილმა;
9. მელანო ჭიპაშვილმა.

მეორე ადგილზე გავიდნენ:

1. ნიკოლოზ ფცქიალაძე;
2. გიორგი იოსებაშვილი;
3. არჩილ იოსებაშვილი;
4. გივი მაზიაშვილი;
5. ლევან მანჯავიძე;
6. გიორგი მანჯავიძე;
7. გიორგი ციცქიშვილი.

* * *

6 დეკემბერს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა მინი ფეხბურთში 2005 — 2006 წლებში დაბადებულ ვაჟებს შორის. ფინალურ შეხვედრაში ბორითის გუნდმა (მწვრთნელი სულიკო დონაძე) დაამარცხა სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის გუნდი ანგარიშით 2:1. საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა ლუკა გაჩეჩილაძე (ბორითის გუნდის წევრი).

* * *

7 დეკემბერს ხარაგაულის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა კალათბურთში 2002 — 2004 წლებში დაბადებულ ვაჟებს შორის. ფინალურ შეხვედრაში სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის გუნდმა (მწვრთნელი სულიკო ჩაგელიშვილი) დაამარცხა ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის გუნდი. საუკეთესო მოთამაშედ დასახელდნენ: საბა მესხი (ხარაგაული) და აჩიკო ლომიძე (ვერტყვიჭალა).

* * *

10 — 11 დეკემბერს ხაშურში ჩატარდა ვახტანგ კვინიკაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის აღსაზრდელმა, თამაზ ტოროშელიძემ (მწვრთნელი რევაზ შერგელაშვილი), III ადგილი დაიკავა.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი

დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12